საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება

KA020108738077021

№ ს-18 **22 / მარტი / 2021 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის დეპარტმენტის მიერ 2021 წელს განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ (შემდგომში - სააგენტო) ექსპორტის დეპარტამენტის 2021 წელს განსახორციელებელი პროგრამები, დანართის შესაბამისად.

2. ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების განხორციელება დაევალოს სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტს.

3. ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრა და კონტოლი დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (0105 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი

ექსპორტის დეპარტამენტის პროგრამები 2021	
პროგრამის დასახელება	**პროგრამის მოკლე აღწერა**
1. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა	ექსპორტის სტიმულირების, საქართველოს და ქართული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო ღონსიძიებაში, მათ შორის საერთაშორისო გამოფენებში, სავაჭრო მისიებში, კონფერენციებში, ე.წ შოურუმებში და სხვა აქტივობებში რომელიც ხელს უწყობს საქართველოდან ექსპორტის ზრდას და ქვეყნის სათანადო წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე.
2. საგანმანათლებლო ღონისძიებები	ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი მიზნად ისახავს ექსპორტიორი და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების მიერ ნომინირებული პირების მომზადებას/გადამზადებას ექსპორტის საკვანძო/საბაზისო საკითხებში შესაბამისი კომპანიების საექსპორტო ოპერაციების დახვეწა/ოპტიმიზაციის მიზნით, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას.